

ნიადაგური ტიპები და მათი დახასიათება

ნიადაგწარმომქნელი ფაქტორები

სამცხე-ჯავახეთის გეოგრაფიული მდებარეობა, უსწორმასწორო ზედაპირი და სხვა ფაქტორები განსაზღვრავენ მისი ბუნებრივი და სამეურნეო პირობების დიდ სხვადასხვაობას. აქ ნიადაგების საკმაოდ ფართო სპექტრი. მათ ტერიტორიულ განაწილებას კანონზომიერი ზონალური ხასიათი აქვს, თუმცა ადგილობრივი პირობების მიხედვით, ეს ზონალობა ბევრგან ირღვევა.

ნიადაგების წარმოქმნის პროცესებსა და შედგენილობაზე დიდი გავლენა მოახდინა სამეურნეო ზემოქმედებამ. განსაკუთრებით მკვეთრია ეს გავლენა სა-ქართველოს დაბლობებსა და გორაკ-ბორცვიან ზონაში, სადაც ნიადაგის გაუმჯობესებისა და ნაყოფიერების ასამაღლებლად ჩატარებულ ღონისძიებათა ზეგავლენით ნიადაგებმა მკვეთრად შეიცვალა თავისი პირვანდელი სახე და გარდაიქმნა კულტურულ ნიადაგებად.

საქართველოში სხვადასხვა გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით გამოიყოფა ნიადაგების სამი ოლქი: დასავლეთ საქართველოს ნიადაგური ოლქი, აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგური ოლქი და სამხრეთსაქართველოს ნიადაგური ოლქი.

სამხრეთ საქართველოს ნიადაგურ ოლქს უკავია სამხრეთ მთიანეთის ცენტრალური ნაწილი, რომელიც ცნობილია ჯავახეთისა და წალკის ვულკანური ზეგნების სახელწოდებით. ეს მხარე ზოგან დასერილია მდინარეთა ღრმა ხეობებით, ქედებითა და ცალკეული ვულკანური მწვერვალებით. აღნიშნულ ზეგანზე ძლიერ გავრცელებულია დაჭაობებული დადაბლებები და ტბები.

გეოლოგიური აგებულების მხრივ ეს რაიონი წარმოადგენს ვულკანური ქანების ფართოდ გავრცელების მხარეს. მათ შორის ყველაზე მეტი ადგილი უკავია ანდეზიტებსა და ბაზალტებს. მტკვრისა და სხვა მდინარეთა ხეობათა ფსკერზე შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული ქვიშიან-ლორღიანი შედგენილობის ალუვიური ნაფენები.

ჰავა ჯავახეთის ზეგანზე კონტინენტურია, ნალექების წლიური რაოდენობა შეადგენს 500-700 მმ-ს, საშუალო წლიური ტემპერატურაა 5-6°C. ზამთარი თოვლიანია, ხანგრძლივი და საკმაოდ მკაცრი. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ნალექების რაოდენობა მატულობს და მაქსიმუმს აღწევს სამსრისა და სხვა ქედების ფერდობებზე – ალპური მდელოების ზოლში, სადაც საშუალო წლიური ტემპერატურა 2°C-მდე და უფრო ქვევითაც ეცემა.

ამ ოლქის მცენარეული საფარი ძირითადად წარმოადგენს მთიანი ველების, სუბალპური და ალპური მდელოების ფორმაციებს. მთის ველი განვითარებულია ზ.დ. 1,300-2,000 და მეტ სიმაღლეზე. მას უჭირავს ამ ზეგანზე ვაკის უმეტესი ნაწილი და გორაკიანი ზოლიც, შავმიწა ნიადაგების გავრცელების ზონაში. ველებს შორის ჭარბობს ნაირბალახოვან-უროიანი ფორმაცია. სუბალპური მდელოს მცენარეულობას უჭირავს ფართო ზოლი სამხრეთ მთიანეთის მაღლობ ზოლში, ველების ზევით.

სამხრეთ საქართველოს ნიადაგურ ოლქში, აღნიშნული სქემის მიხედვით, შედის ჯავახეთის ზეგნის ჩრდილო ნაწილის ტყიანი ზონა და აგრეთვე ახალციხის ქვაბული, მისთვის დამახასიათებელი გარდამავალი ტყე-ველისა და ტყის ნიშნებით. ამის

შესაბამისად სამხრეთ საქართველოს ნიადაგურ საფარს ახასიათებს დიდი სხვადასხვაობა ნიადაგების თავისებური ზონალური გავრცელება. აქ გამოიყოფა [საბაშვილი მ. 1970]:

ახალციხის ქვაბულის ქვეოლქი –

- გარდამავალი ტყე-ველის რუხი-ყავისფერი და ტყის ყავისფერი ნიადაგების;
- მთა-ტყეთა ნიადაგების;
- მთა-მდელოთა ნიადაგების ზონებით.

ვულკანური ზეგნების ქვეოლქი –

- მთის ველების (შავმიწების);
- მთა-მდელოთა ნიადაგების ზონებით.

ძირითადი ნიადაგები

სამხრეთ საქართველოს ნიადაგურ ოლქში გავრცელებულია შემდეგი ნიადა-გური ტიპები: მთა-მდელოს, მთა-ტყე მდელოს, ყომრალები, მთის შავმიწები, რუხი ყავისფერი, მდელოს ყავისფერი, ტყის ყავისფერი, ნეშომპალა-კარბონატული და ნეშომპალა-სულფატური (გაჯიანი) და მდელოს ალუვიური ნიადაგები და სხვ. (ნახ. 2.44).

ბუნებრივი პირობების დიდ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით მესხეთის ნიადაგები მრავალფეროვნებით ხასიათდებიან. აქ არის წარმოდგენილი ვერტიკა-ლური ზონალობისა და გეომორფოლოგიურ პირობებთან დაკავშირებით ველებისაკენ გარდამავალი ზონებისათვის დამახასიათებელი მდელოს ალუვიური, მდელოს ყავისფერი და რუხი-ყავისფერი ნიადაგები. ფართო გავრცელებას პოულობს ტყის ყავისფერი და ტყის ყომრალი ნიადაგები, რომლებიც იცვლებიან მთა-მდელოთა ნიადაგებით.

მესხეთის ნიადაგების გავრცელებაში თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ამავე ზონებთან შედარებით, აღნიშნული ნიადაგები მეხეთში უფრო მაღლა მდებარეობენ. მესხეთის ნიადაგების გავრცელების თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ ზღვის დონიდან ერთი და იგივე სიმაღლეზე აღინიშნება ორი და ზოგ შემთხვევაში ოთხი ნიადაგწარმოქმნის ტიპი. მაგალითად ზ.დ. 1,300-14,00 მეტრ სიმაღლეზე მხარის სხვადასხვა ნაწილში ჩვენ ვხვდებით რუხ ყავისფერ, ტყის ყავისფერ, შავმიწა და ტყის ყომრალ ნიადაგებს. მიუხედავად ამისა მესხეთის ტერიტორიაზე ნიადაგების გავრცელებას გარკვეული ზონალობა ახასიათებს. ზ.ს. 900-1,000 მეტრის ფარგლებში გავრცელებულია ალუვიური ნიადაგები, 1,000-1,100 მეტრზე მდელოს ყავისფერი, 1,100-1,300 მეტრიდან 1,300-1,400 მეტრამდე გარდამავალი სახის რუხი ყავისფერი, ხოლო 1,200-1,500 მეტრის ფარგ-ლებში – ტყის ყავისფერი ნიადაგები. 1,500 მეტრიდან 1,800-2,000 მეტრამდე გავრცელებულია ტყის ყომრალები, ხოლო 1,800-2,000 მეტრიდან 3,000 მეტრამდე მთა-მდელოს ნიადაგები [პეტრიაშვილი რ. 1975].

მოკლედ განვიხილოთ თითოეული ნიადაგური ტიპი და მათი დახასიათება.

მთა-მდელოს ნიადაგები

მთა-მდელოს ნიადაგი ხასიათდება არადიფერენცირებული პროფილით. ნიადა-გის პროფილს აქვს შემდეგი აგებულება: A_კ-A-B-B_ჩ. ამ ნიადაგის ძირითადი დიაგ-

ნოსტიკური მაჩვენებლებია კარგად გამოხარტული ჰუმუსოვანი ჰორიზონტი, მცირე ან საშუალო სიმძლავრე.

მთა-მდელოს ნიადაგი ფართოდაა გავრცელებული კავკასიონისა და ამიერკავკასიის სამხრეთ მთიანეთის სუბალპურ და ალპურ ზონაში, ზ.დ. 1,800 (2,000) მეტრიდან 3,200 (3,500) მეტრამდე.

მთა-მდელოს ნიადაგი ესაზღვრება ნივალური სარტყლის პრიმიტიულ, სუბალ-პური და ალპური ზონის მთა-მდელოს შავმიწისებრ და სუბალპური სარტყლის მთა-ტყე-მდელოს ნიადაგს.

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგი

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგი ხასიათდება არადიფერენცირებული პროფილით, მაღალი და ღრმა ჰუმუსირებით, მცირე და საშუალო სიმძლავრით, ძლიერი გამო-ტუტვით. ნიადაგურ პროფილს ჩვეულებრივ აქვს შემდეგი აგებულება: A0-Aტ-B-Bჩ ან A0-A-AB-ჩD ან A0-A-AB-ჩD. ნიადაგის გავრცელების საერთო ფართობი შეადგენს 492,000 ჰა-ს, რაც მთელი ტერიტორიის 7.2 % უდრის.

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგი ფართოდაა გავრცელებული კავკასიონისა და ამიერკავკასიონის სამხრეთ მთიანეთის სუბალპურ ზონაში ზღვის დონიდან 1,800 (2,000) მეტრიდან 2,000 (2,200) მეტრამდე.

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგი ესაზღვრება მთა-მდელოს ნიადაგსა და ყომრალს. შესწავლის ისტორია. 1914 წელს ს. ზახაროვმა გამოიკვლია კავკასიონის მაღალ-მთიანეთის ნიადაგი ცხრაწყაროსა (თრიალეთის ქედი) და ჯვრის (მთავარი კავკა-სიონი) უღელტეხილების მიდამოებში. მან დაადგინა, რომ ამ ნიადაგის დამახასიათებელი მორფოლოგიური ნიშნებია:

- ზედა ჰორიზონტების ყომრალი და ქვედა ჰორიზონტების ყავისფერი შეფერილობა;
- მცირე სისქე;
- ნიადაგური მასის სუსტი დიფერენციაცია;
- ხირხატიოანობა;
- ზედა ჰორიზონტების ნაზტორფიანობა და “ფესვიანობა”.

ყომრალეები

ყომრალი ნიადაგები ხასიათდება არადიფერენცირებული პროფილით, თუმცა პროფილის შუა ნაწილის გათიხების შედეგად ადგილი აქვს ტექსტურულ დიფერენციაციას. ამის შედეგად შეიძლება აღინიშნოს ზედაპირული გაღებება. საქართველოში ყომრალი ნიადაგები მეტად გავრცელებულია. გავრცელების საერთო ფართობი შეადგენს 1,329,000 ჰა, რაც მთელი ტერიტორიის 18.1 % უდრის. აღნიშნული ნიადაგები გავრცელებულია როგორც დასავლეთ საქართველოს ისე აღმოსავლეთ საქართველოსა და სამხრეთ საქართველოს ნიადაგურ ოლქებში. დასავლეთ საქართველოში ყომრალეები ვრცელდება 800 (900) – 1,800 (2,000) მ-ის ფარგლებში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 900 (1,000) – 1,900 (2,100) მ-ის ფარგლებში. დასავლეთ საქართველოში ყომრალი ნიადაგი ესაზღვრება ყვითელ-ყომრალ და მტა-ტყე-მდელოს, ხოლო

აღმოსავლეთ საქართველოში – ყავისფერ და მთა-ტყე-მდელოს ნიადაგებს. [ურუმამე, ბლუმი, 2011].

ტყის ყომრალი ნიადაგები მესხეთში გვხვდება ახალციხე-იმერეთის, არსიანის, ერუშეთის და ოშორა-საბადურის ქედების ფერდობებზე ზ.დ. 1,500-2,000 მეტრის ფარგლებში. ცალკეულ ადგილებში კი უფრო დაბლადაც, კერძოდ ახალციხე-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობებზე სოფ. აწყურის მიდამოებში ტყის ყომრალი ნიადაგების გავრცელების ქვედა საზღვარი 980 მეტრამდეა, ხოლო სოფ. მოხისა და ზარზმის ტერიტორიაზე 1,100-1,200 მეტრამდე ეშვება [პეტრიაშვილი რ. 1975].

ტყის ყავისფერი ნიადაგები

საქართველოს სხვადასხვა რაიონში ტყის ყავისფერი ნიადაგები საკმაოდ კარგადაა შესწავლილი ს. ზახაროვის, ო. სანიკიძის, ვ. ამბოკაძის, მ. საბაშვილის, ი. გერასიმოვის, გ. ტალახაძის, გ. ახვლედიანის, ი. ანჯაფარიძის, მ. ჯიკავას, ჯ. ონიანის, ე. ნაკაიძის და სხვათა მიერ. შედარებით სუსტადაა გამოკვლეული ტყის ნიადაგები.

პროფ. მ.საბაშვილის მიხედვით ტყის ყავისფერი ნიადაგები წარმოადგენენ მთა-ტყეთა ზონის ქვედა ნაწილში ტყის ყომრალ ნიადაგებსა და ველისპირის შავმიწა ან წაბლა ნიადაგებს შორის გარდამავალ ნიადაგებს. ისინი წარმოიქმნებიან, ტყის ყომრალბთან შედარებით, ნაკლებ ნალექიანი და უფრო თბილი ჰავის პირობებში, ძირითადად კარბონატულ ქანებზე.

მესხეთის ტყის ყავისფერი ნიადაგების ზონა დიდ ინტერესს იწვევს როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, რადგან იგი წარმოადგენს ინტენსიური მიწათმოქმედების უძველეს ზონას და ყველაზე პერსპექტიულს მეხილეობისა და მევენახეობის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით.

აღნიშნული ნიადაგები, აღმოსავლეთ საქართველოს ამავე ტიპის ნიადაგებიდან შედარებით, რამდენადმე განსხვავებულ პირობებში ვითარდებიან.

ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ტყის ყავისფერი ნიადაგები გავრცელებულია ზ.დ. 400-500 მ-დან 1,000-1,200 მეტრის ფარგლებში. მესხეთის ტყის ყავისფერი ნიადაგები განვითარებულია ახალციხის ქვაბულის მთა-ტყეთა ზონის ქვედა ნაწილში, ზ.დ. 1,200-1,300 მეტრიდან 1,500 მეტრის სიმაღლეზე, უფრო დაბლა, ტყე-ველის ზონაში მათ საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავთ. აქ ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა არ აღემატება 8-90, ხოლო ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 517-626 მმ-ს. მუხის ტყეები მცირე კორომების სახითაა შემორჩენილი ახალციხე-იმერეთის ქედის სამხრეთ ფერდობებზე, მთა-ტყეთა ზონის ქვედა ნაწილში. ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ათვისებულია ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებით. ადამიანის სამეურნეო მოქმედებამ, რომელსაც იგი ამ მხარეში ეწევა უხსოვარი დროიდან ძირფესვიანად შეცვალა არა მარტო მცენარეული საფარი, არამედ თვით ლანდშაფტიც კი. ბუნებრივი ბალახეულობიდან გაბატონებულია წივანა, ტიმოთეს ბალახი, სამყურა, კაპუეტა, თრიალეთი იონჯა და სხვა, რომლებიც ჰავის სიმშრალის გამო მცირე სისქის კორდს ქმნიან და ნიადაგწარმოქმნას წარმართავენ გაველებისაკენ.

მესხეთის ტყის ყავისფერი ნიადაგები განვითარებულია სხვადასხვა ნიადაგთ-წარმომქმნელ ქანებზე. ამონაღვარ ვულკანურ ქანებზე განვითარებული ნიადაგები

უფრო მუქია, ხასიათდებიან შედარებით ნაკლები სისქით და ხირხატაიანობით, მცირე მოსწორებული რელიეფის პირობებში ატარებენ შავმიწისებრ ხასიათს.

რუხი-ყავისფერი ნიადაგები

რუხი-ყავისფერი ნიადაგი ხასიათდება არადიფერენცირებული, გათიხებული, კარბონატული, მცირეჰუმუსიანი პროფილით. ძირითადი დიაგნოსტიკური მაჩვენებლებია ჰუმუსოვანი და კარბონატული პროფილების შედარებით გაჭიმულობა, პროფილის შუა ნაწილში კარგად გამოხატული გათიხება და ზედაპირიდან კარბონატების არსებობა.

საქართველოში რუხი-ყავისფერი ნიადაგების საერთო ფართობი შეადგენს 5,8% (402,000 ჰა). აღნიშნული ნიადაგი გავრცელებულია სამხრეთ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მარნეულის, გარდაბნის, საგარეჯოს და სხვა რაიონებში. ესაზღვრება ყავისფერ, შავ, მდელოს-რუხ-ყავისფერ ნიადაგებს.

მესხეთის რუხი-ყავისფერი ნიადაგები, რომელთა ნიადაგწარმომქმნელ ქანებს წარმოადგენენ კარბონატულ-თაბაშირიანი ფერადი თიხები, ქვიშაქვები, ლიოსისებრი თიხნარები, ყველაზე ახლოს დგანან ტყის ყავისფერ ნიადაგებთან და მათგან იმით განსხვავდებიან, რომ შედარებით ნაკლებად აქვთ გამოსახული ჰუმუსიანი ფენა, შეფერილნი არიან მთელ პროფილში ღია და ხშირ შემთხვევაში რუხ ყავისფრად და შედარებით მცირე რაოდენობით შეიცავენ ჰუმუსს [პეტრიაშვილი, 1975].

მდელოს ყავისფერი ნიადაგები

მდელოს ყავისფერი ნიადაგი ხასიათდება სუსტად დიფერენცირებული პრო-ფილით, ყავისფერ ნიადაგზე უფრო მძლავრი პროფილით. მთელს მის პროფილში ან მის ქვედა ნაწილში გალებების ნიშნებით, სუსტად გამოხატული კარბონატულ-ილუვიური ჰორიზონტით. ნიადაგის პროფილს შემდეგი აგებულება აქვს: A₁ა₁ბ. –AB-B-B₁ბ-ჩ ან A₁ა₁ბ.-A-B₁-B₂-B₁.

საქართველოში მდელოს ყავისფერი ნიადაგის საერთო ფართობი შეადგენს 1.9 % (130,400 ჰა). ფორმირდება ყავისფერი ნიადაგის არეალში დისპერსიულ ნაწი-ლაკებში გადიდებული გრუნტის, ზედაპირული და შერეული დატენიანების პირობებში. გვხვდება მესხეთში, ქვემო და ზემო ქართლში, კახეთში (მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირი).

მთის შავმიწა

მთის შავმიწა (ე.წ. შავმიწა) ხასიათდება საკმაოდ მძლავრი ჰუმუსოვანი ჰორიზონტით. ნიადაგის პროფილს ჩვეულებრივ შემდეგი აგებულება აქვს: AII- AIII-AB-B₁. შავმიწის საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 1.4 % (99,200 ჰა). ეს ნიადაგი გავრცელებულია სამხრეთ მთიანეთში ზღვის დონიდან 1,200-1,900 მეტრს შორის [ურუშაძე, ბლუმი, 2011].

მესხეთში მთის შავმიწები გვხვდება ერთმანეთისაგან იზოლირებული მასივების სახით აგარა-ყარზამეთის და ძველის პლატოზე, სოფ. ქიქინეთსა, ჩიხელსა და ვარხანს შორის მოთავსებულ ტერასირებულ ზედაპირზე და აგრეთვე სოფ. სვირსა და ბოგას თავზე

განლაგებულ მასივზე, რომელიც ახალგაზრდა ფუმე ქანებითაა აგებული [პეტრიაშვილი, 1975].

სამხრეთ საქართველოს შავმიწების უმეტესი ნაწილი განვითარებულია ვულკანურ პლატოზე, რომელიც ატარებს მთიანი ვაკის ხასიათს. ამ რაიონების ცენტრალური ნაწილი უკავია ვულკანური კონუსების მერიდიანულ სისტემას – კეჩითისა და აბულ-სამსარის ქედებს. ახალქალაქი-წალკის რაიონების ვაკეები აგებულია ანდეზიტების, ანდეზიტო-ბაზალტების და ბაზალტური ქანებისაგან. დეპრესიებში ეს ქანები გადაფარებულია ტბიური ნალექებით. გამოზიდვის კონუსები წარმოდგენილია ანდეზიტო-დაციტებით. გამყინვარების პერიოდში სამხრეთ მთიანეთმა განიცადა გამყინვარება, რაზედაც მიუთითებს აქ გავრცელებული მორენული ნაფენები.

ნეშომპალა-კარბონატული და ნეშომპალა-სულფატური (გაჯიანი) ნიადაგები

ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები მესხეთში არც ისე ფართოდაა გავრცელებული. ისინი გვხვდება კარბონატული ტყის ყავისფერ ნიადაგებთან კომპლექსში და ძირითადად დაკავშირებული არიან კირქვებისა და მერგელიან-თიხნარი ნაფენების გავრცელების ადგილებთან, სოფ. ჭობარეთის, ზანავის, უდეს, ვალესა და სხვა სოფლების მიდამოებში.

მცირე სისქის ნიადაგებში, რომლებიც ზედაპირიდანვე კარბონატულია, მცირე რაოდენობითაა როგორც ჰუმუსი, ისე საკვები ელემენტები. ნიადაგები ძირითადად ხირხატია და გამოუყენებელია სოფლის მეურნეობაში. საშუალო და განსაკუთრებით დიდი სისქის ნიადაგებისათვის დამახასიათებელია ჰუმუსოვანი ფენის მუქი ყავისფერი შეფერილობა, კარგად გამოსახული კომპოვანი სტრუქტურა და სუსტი ხირხატიალობა, ილუვიურ კარბონატულ ჰორიზონტში ნახშირმჟავა კირი დაგროვილია ფხვიერი თვლებისა და ძარღვების სახით.

მაგალითისათვის მოგვყავს სოფ. ზანავში მეცხოველეობის ფერმასთან, ხნულ ტერასაზე გაშენებული 10 წლის ხეხილის ბაღი, რიგთაშორისებში მოჰყავთ კარტოფილი. ნაკელი და აზოტიანი სასუქები შეაქვთ სრული დოზებით. სარწყავი წყლის უქონლობის მიუხედავად ნაკვეთიდან ყოველწლიურად იღებდნენ 300-350 ც/ჰა კარტოფილის მოსავალს.

საკმაოდ დიდი რაოდენობითაა ამ ნიადაგის სახნავ ფენაში ჰუმუსი (5-6 %) და მცენარისათვის ადვილად შესათვისებელი საკვები ელემენტები, შთანთქმული ფუმეების ჯამი 36-40 მილიექვივალენტის ფარგლებშია და პროფილში ზემოდან ქვევით თანდათანობით კლებულობს. მეტი წილი მოდის კალციუმის იონზე. ნახშირმჟავა კირი მთელს პროფილში დიდი რაოდენობითაა, ნიადაგწარმომქმნელი ქანი ჩაჩO3-ს 30-40 %-მდე შეიცავს (ცხრ. 2.51).

მესხეთში ნეშომპალა-სილფატური (გაჯიანი) ნიადაგების გავცელებაზე მიუ-თითებენ თავიანთ შრომებში ბ. კლოპოტკოვსკი და გ. ახვლედიანი. ეს ნიადაგები გვხვდება მესხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ახალქალაქის რაიონთან მო-საზღვრე ტერიტორიაზე, ზ.დ. 1,350-1,400 მეტრ სიმაღლეზე. ხასიათდებიან მცირე ჰუმუსიანი ფენით და მასში ჰუმუსის მცირე შემცველობით (1.9-2.5 %). გამოყენებულია ერთწლიანი

სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის, რომლებიც სარწყავი წყლის უქონლობის გამო მცირე მოსავალს იძლევიან [პეტრიაშვილი, 1975].

ალუვიური ნიადაგები

ალუვიური ნიადაგები ხასიათდება რეგულარული დატბორვით და ნიადაგის ზედაპირზე ალუვიონის ახალი შრეების დალექვით. ეს ნიადაგი ხასიათდება ნაირ-გვარი რეჟიმით, შენებით და თვისებებით. მათი თვისებები ბევრად განისაზღვრა იმ აუზის ბუნებით, სადაც ვითარდებიან ეს ნიადაგები. ნიადაგის პროფილს შემდეგი აგებულება აქვს: A-AB-ჩ-ჩD.

ალუვიური ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 5 % (351,400 ჰა). იგი ფორმირდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სხვადასხვა ბუნებრივ ზონაში.